საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების კონცეფცია

1. საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ტრენინგი (TOT)

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის სასწავლო პროგრამის განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები, სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსის ფარგლებში გაეცნობიან სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის:

- საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები;
- კენჭისყრის პროცესი;
- შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები;
- არჩევნების უსაფრთხოება;
- საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების კონცეფცია - ტრენინგების სისტემა, ტრენინგების მეთოდოლოგია, სასწავლო მასალები;
- ტრენინგების ადმინისტრირება.

მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ ტრენერები, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებთან თანამშრომლობით, ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით, უზრუნველყოფენ 50 მაჟორიტარულ ოლქში მოქმედი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების ჩატარებას.

ტრენერთა გადამზადების პროგრამის განხორციელების პერიოდი - 20 – 22 ოქტომბერი.

2. ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სწავლება განხორციელდება ერთ ეტაპად. სწავლების ცენტრის მიერ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის შემუშავებული პროგრამის ფარგლებში სწავლებას გაივლიან საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები (კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი). განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი);
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს (საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები;
- არჩევნების უსაფრთხოება.

განხორციელების პერიოდი - 25– 27 ოქტომბერი.

<u>3. სასწავლო მასალები და მეთოდოლოგია</u>

საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა პროცედურული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავების მიზნით, ტრენინგებისთვის განახლებულ იქნა სასწავლო მასალა, მათ შორის, სახელმძღვანელო ინსტრუქციები, პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული, ელექტრონული სასწავლო პროგრამა.

ტრენინგები ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ვერბალური, პრაქტიკული, ინტერაქტიული და როლური თამაშები).